სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 ივნისი, 2026 წელი

ბრძანება №01-02/110

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის განაცხადის ფორმის (ბსუ-ს რეგულაციების გაცნობის დადასტურებისა და პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის) **დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების, ,,პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 12 დეკემბრის №01-02/210 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წესის დამტკიცების შესახებ" რექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის №01-02/225 ბრძანების, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ბსუ-ს გეგმის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2026 წლის №01-02/06 ბრძანების,** ,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 06 თებერვლის №01-10/10 ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. **დამტკიცდეს** ბსუ-ს შინაგანაწესისა და სხვა რეგულაციების გაცნობის დადასტურებისა და პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის შესახებ ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის (მონაცემთა სუბიექტის) განაცხადის **ფორმა,** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრმა უზრუნველყოს:**

   ა) ბსუ-ს პროფესიული სტუდენტების ელექტრონულ ფოსტაზე წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული განაცხადის ფორმის, ასევე დამატებით, 2026 წლის ივნისის მდგომარეობით მოქმედი ბსუ-ს რეგულაციების დაგზავნა;

   ბ) **პროფესიულ სტუდენტებთან პირისპირ შეხვედრის ორგანიზება,** ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ჩართულობით, ბსუ-ს მოქმედი (კოდიფიცირებული) და ახალი რეგულაციების, მათ შორის პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის დამატებით მიწოდებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ, წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად შევსებული და ხელმოწერილი განაცხადების ფორმების წარმოდგენის მიზნით (განაცხადების ხელმოწერილი ფორმები განთავსდეს პროფესიული სტუდენტების პირად საქმეებში);

   გ) წინამდებარე ბრძანების აღსრულების თაობაზე სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა, არაუგვიანეს 2026 წლის 01 ივლისისა.

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში - იურიდიული ცნობარი/საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები/რექტორის ბრძანებები და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის რეგულაციების ველში).
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის განაცხადის ფორმის (ბსუ-ს რეგულაციების გაცნობის დადასტურებაზე და პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის) დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 16 ივნისის №01-02/110 ბრძანების

№1 დანართი

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის (მონაცემთა სუბიექტის) **განაცხადი** ბსუ-ს შინაგანაწესის და სხვა რეგულაციების **გაცნობის დადასტურებისა და პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის შესახებ**	
ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამის** (შემდეგში - პროგრამა) **დასახელება,** რომელზეც სწავლობს პროფესიული სტუდენტი (მონაცემთა სუბიექტი)	
პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული **ხელშეკრულების ნომერი და თარიღი**	
ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია	
სახელი და გვარი:	
პირადი ნომერი:	
დაბადების თარიღი:	
მისამართი:	
ტელეფონი:	
ელფოსტა:	
არასრულწლოვანი (შშმ/სსსმ პირი) **პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის (**მშობელი/მეურვე) **პერსონალური მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია**	
სახელი და გვარი:	
პირადი ნომერი:	
მისამართი:	
ტელეფონი:	
ელფოსტა:	
ბსუ-ს შინაგანაწესის და სხვა რეგულაციების გაცნობის დადასტურება	

<u>პროფესიული სტუდენტი ადასტურებს,</u> რომ პროფესიული **სტუდენტის ხელშეკრულების გაფორმებამდე გაეცნო** ამ <u>ხელშეკრულებაში აღნიშნულ ბსუ-ს რეგულაციებს, მათ შორის:</u> ბსუ-ს **შინაგანაწესს** (რომელიც პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად განიხილება), ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, პროფესიული სტუდენტის გზამკვლევს.

<u>პროფესიული სტუდენტი</u> **<u>დამატებით ადასტურებს,</u>** რომ ბსუ-ს პროფესიული პროგრამის მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მიიღო ინფორმაცია ბსუ-ს რეგულაციების შესახებ** (შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით კოდიფიცირებული, ასევე ახალი სამართლებრივი აქტების შესახებ), **ასევე** <u>ელფოსტის საშუალებით მიიღო ცენტრის წერილი და თანდართული</u> **ბსუ-ს რეგულაციები, რომელსაც გაეცნო წინამდებარე განაცხადის წარმოდგენამდე, კერძოდ:** <u>ბსუ-ს ეთიკის კოდექსი,</u> ბსუ-ს შინაგანაწესი, ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, პროფესიული სტუდენტის

გზამკვლევი, ,,პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესთან და პროფესიული სტუდენტის სერვისების შესახებ ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge, ველში **,,იურიდიული ცნობარი",** ასევე ბსუ-ს პროფესიული პროგრამის მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში **,,მარეგულირებელი აქტები")**

ვადასტურებ ხელმოწერით: ----------

პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა

პროფესიული სტუდენტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს ინფორმირებულ თანხმობას,** ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით **დამუშავდეს** მისი **პერსონალური მონაცემები** (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, რეგისტრაციის/საცხოვრებელი მისამართი, ფოტო) და პროფესიული პროგრამის სასწავლო პროცესში მონაწილეობის მონაცემები (დასწრების, შეფასების შედეგების, დიპლომის/დიპლომის დანართის დამზადებისა და გაცემის შესახებ), აგრეთვე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ), საგანმანათლებლო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მიზნებისათვის.

მონაცემთა სუბიექტი ადასტურებს, რომ ინფორმირებულია ბსუ-ს ტერიტორიაზე (შესასვლელები, გარე პერიმეტრი, ეზო, დერეფნები, კიბის უჯრედები, კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები) უსაფრთხოებისა და ქონების დაცვის მიზნით მიმდინარე 24-საათიანი ვიდეომონიტორინგის შესახებ, ასევე საგამოცდო სივრცეებში – ვიდეომონიტორინგის გამოცდების/ტესტირების პერიოდში განხორციელების თაობაზე, „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" და ვიდეომონიტორინგის წესის შესაბამისად.

მონაცემთა სუბიექტი ასევე **აცხადებს თანხმობას,** რომ ბსუ-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე გადაღებული მისი ფოტო/ვიდეო მასალა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და სხვა საინფორმაციო რესურსებში.

მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს წინასწარ თანხმობას** მისი პერსონალური მონაცემების გადაცემაზე შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესში ჩართული ორგანიზაციებისათვის, თუ აღნიშნული აუცილებელია უნივერსიტეტის სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად ან ბსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.

მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია** მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ბსუ უზრუნველყოფს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

პროფესიული სტუდენტი (მონაცემთა სუბიექტი) **ადასტურებს (აცხადებს),** რომ **ინფორმირებულია მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული (საგანმანათლებლო მომსახურება) სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით.

პროფესიული სტუდენტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით. მონაცემთა სუბიექტი **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია** პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეუძლია მიმართოს ბსუ-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, მათ შორის, ელფოსტაზე: mariam.mamuladze@bsu.edu.ge მონაცემთა სუბიექტი აგრეთვე ინფორმირებულია, რომ მას აქვს უფლება ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე **გამოიხმოს წინამდებარე თანხმობა,** რის შემდეგაც ბსუ შეწყვეტს მონაცემთა დამუშავებას, თუ არ არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამუშავების სხვა საფუძველი. **ვადასტურებ ხელმოწერით:** ----------	
განცხადების წარმოდგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
პროფესიული სტუდენტის **ხელმოწერა:**	
პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი/მეურვე) **ხელმოწერა**	